ბრძანება № 1-22

გორი 06 04 2023წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის /შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2023 წლის 18 იანვრის N1-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის /შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2023 წლის 18 იანვრის N1-01 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აღდგენის მსურველი პირი, ვალდებულია სათანადო განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2023 წლის 10 აპრილის ჩათვლით.".

2. ეს ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი